ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. თბილისი

20 სექტემბერი 2013 წ

სხდომას ესწრებოდნენ:

რამაზ ლომინაძე - კომისიის თავმჯდომარის მ/შ – ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი ბეზარაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი – გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

აკაკი კობალაძე - სატენდერო კომისიის წევრი – გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

ზურაბ ბარათაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი - გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ ივანიშვილი-ოთარაშვილი – აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

კონსტანტინე დიხამინჯია – ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში ვაკის გამგეობის ტერიტორიაზე დენდროლოგიური პროექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის – საკონკურსო განცხადების პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის წევრმა, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა –აკაკი კობალაძემ გააცნო საკონკურსო კომისიას: ა) საკონკურსო განცხადების პროექტი და ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია.

კონკურსის ჩატარების მიზანია კონკურსის საშუალებით საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ

1. ირ. აბაშიძის 48, 100კვმ;
2. ირ. აბაშიძის 4,6,8. 200კვმ;
3. მარაბდის 34 (წმ. გიორგის ტაძრის მიმდებარე) 60კვმ;
4. ირ. აბაშიძის 18, 130კვმ;
5. წყნეთი, რუსთაველის ქ. 51 (პოპულის მიმდებარე) 60კვმ;
6. წყნეთი, 26 მაისის ქ. 2 (რესტორანი მაჭახელას მიმდებარე) 45კვმ

დენდროლოგიური პროექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი. პროექტი მიღებულ იქნა ერთხმად.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სატენდერო განცხადების პირობები და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი;

2. მოხდეს სატენდერო განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარის მ/შ **რამაზ ლომინაძე**

კომისიის წევრი: **გიორგი ბეზარაშვილი**

კომისიის წევრი **აკაკი კობალაძე**

კომისიის წევრი **ზურაბ ბარათაშვილი**

კომისიის წევრი **თამარ ივანიშვილი-ოთარაშვილი**

კომისიის წევრი **კონსტანტინე დიხამინჯია**